



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №12

2019 წლის 25 აპრილი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ


„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.35.132.016398) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N1-ს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის“ მე-8 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ მუხლი:

„მუხლი 8¹. M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსების შეფასების კრიტერიუმები

1. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ნებართვის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი M2

№	M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსის შეფასების კრიტერიუმები:	ქულა			
1. გამოშვების წელი					
ა)	2016-2019წ.წ.	10			
ბ)	2011-2015წ.წ.	5			
გ)	2005- 2010წ.წ.	3			
2005 წლამდე გამოშვებულ M2 კატეგორიის ტურისტულ ავტობუსებზე ნებართვა არ გაიცემა					
2. კონდიციონერისა და ვენტილაციის სისტემები					
ა)	მგზავრთა სალონის გამართული კონდიციონერის/გათბობის სისტემა	2			
ბ)	მგზავრთა სალონის გამართული სავენტილაციო სისტემა	2			
M2 კატეგორიის ტურისტულ ავტობუსს, რომელსაც არ ექნება კონდიციონერის/გათბობის ან/და ვენტილაციის გამართული სისტემები ნებართვა არ გაიცემა					
3. M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსის ძარის ვარგისიანობა					
ა)	ძარას არ გააჩნია მექანიკური დაზიანება და კოროზია	7			
M2 კატეგორიის ავტობუსს, რომელსაც ექნება ძარაზე მექანიკური დაზიანება ან/და კოროზია ნებართვა არ გაიცემა					
4. M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსის სალონი					
ა)	M2 კატეგორიის ტურისტულ ავტობუსს უნდა გააჩნდეს პანორამული სახსნელი ჭერი, შესაძლებელია მხოლოდ პანორამული მინის ჭერის არსებობა.	10			
ბ)	მგზავრთა სალონი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი სპეციალიზირებული ტექნიკით გიდისთვის, რაც მგზავრებს/ტურისტებს გაუადვილებს ქალაქის ღირშესანიშნაობების შესახებ საინტერესო ისტორიების მოსმენას.	8			
გ)	მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სალონი გაწყობილი უნდა იყოს რბილი და ხმაურჩამხშობი გადასაკრავით და არ უნდა იყოს ტრავმასაშიში შვერილები და სხვა კონსტრუქციული ელემენტები, განათების სისტემა სრულყოფილია, იატაკი სწორი დაზიანების გარეშე.	5			
დ)	კარების საკეტი, ლუქი და ფანჯრების ჩამკეტები გამართულია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იკეტება და იღება თავისუფლად, საქარე და გვერდითი მინები არ არის დაზიანებული.	7			
ე)	სავარძლის პარამეტრები და განლაგება შეესაბამება სტანდარტებს				
	სავარძლების რაოდენობა	K	H	J	
	17 დასაჯდომ ადგილამდე	35სმ;	65სმ;	35სმ;	4
	17 და მეტი დასაჯდომი	35სმ;	65სმ;	40-50სმ;	5

კატეგორიის ტურისტული ავტობუსების შეფასებით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

	ადგილით				
M2 კატეგორიის ავტობუსი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმის მე-4 პუნქტის ა-ბ-გ-დ-ე ქვეპუნქტებს ნებართვა არ გაიცემა					
5. M2 კატეგორიის ავტობუსის უსაფრთხოება					
ა)	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების, სამედიცინო სააფთიაქო ყუთების, საავარიო გაჩერების ნიშნების, მინის გასატეხი ჩაქურჩების კომპლექტის, დაგორების საწინააღმდეგო სოლების ან დაგორების საწინააღმდეგო სხვა მოწყობილობების არსებობა. (მარკირებული)				10
M2 კატეგორიის ავტობუსი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს ნებართვა არ გაიცემა					

2. საერთო შეფასებაში თითოეულ კრიტერიუმს აქვს თავისი ქულა.

3. გამარჯვებულად ითვლება ის ნებართვის მაძიებელი, რომელიც შეფასების შედეგად მიიღებს ყველაზე მაღალ საბოლოო ქულათა ჯამს.

4. M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსის შეფასების კრიტერიუმების ქულა იანგარიშება შემდეგნაირად:

ა) ნებართვა არ გაიცემა კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც კონკურსისათვის განსაზღვრული ზემოაღნიშნული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით დააგროვებს 56-ზე ნაკლებ ქულას.

ბ) თანაბარი ქულის დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება, იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელიც აკმაყოფილებს M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსის საკონკურსო შეფასების კრიტერიუმებს შემდეგი თანმიმდევრობით, კერძოდ: საკონკურსო შეფასების კრიტერიუმების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს და მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს.

5. ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ფასდება და ნებართვის მაძიებელი არ შეიძლება გამოცხადდეს გამარჯვებულად თუ:

ა) წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება არ შეესაბამება სანებართვო პირობებს;

ბ) ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე